

## ICOMOS ეთიკის პრინციპები

წინამდებარე ეთიკის პრინციპები მიღებულ იქნა მე-18 გენერალური ასამბლეის (ფლორენცია, 2014) მიერ, რათა ჩაანაცვლოს ეთიკურ ვალდებულებათა განცხადება, რომელიც მიღებულ იქნა XIII გენერალური ასამბლეის (მადრიდი, 2020) მიერ, ცვლილებები კი შეიტანა მე-20 გენერალურმა ასამბლეამ (ონლაინ ფორმატში, 2020).

### პრეამბულა

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭო (ICOMOS) არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მიზანია, განავითაროს კულტურული მემკვიდრეობის (ძეგლები, ნაგებობათა ჯგუფები და ღირსშესანიშნაობანი) კონსერვაციის მატერიალური და არამატერიალური ასპექტები, მათი სრული მრავალფეროვნება და ავთენტურობა.

ICOMOS ახორციელებს თავის ამოცანას თავისი წევრებისა და კომიტეტების ქსელის მეშვეობით, თავისი საქმიანობით და თანამშრომლობით სხვა ორგანიზაციებთან. ICOMOS წევრები იზიარებენ საერთო პრინციპებს და, ამასთან, წარმოაჩენენ კულტურული მემკვიდრეობის დარგში სპეციალიზაციისა და კომპეტენციის მრავალფეროვნებას.

ICOMOS ეთიკის პრინციპები განსაზღვრავს ICOMOS წევრებისა და მისი ორგანოების პასუხისმგებლობას კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის მიმართ და ICOMOS-თან დაკავშირებით.

### მუხლი 1. მოქმედება

ა. ეთიკის პრინციპები გავრცელდება ICOMOS ყველა წევრზე. გარდა ამისა, ეთიკის პრინციპები გავრცელდება ყველა ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტზე და ICOMOS სხვა ორგანოებზე. ამდენად, დებულებები, რომლებიც ეხება “წევრებს”, ასევე გავრცელდება კომიტეტებზე და ICOMOS სხვა ორგანოებზე, აუცილებელი და შესაბამისი ცვლილებებით.

ბ. ICOMOS-ში გაერთიანებით და ICOMOS წევრობის შენარჩუნებით, წევრები გამოხატავენ თანხმობას, მისდიონ ამ ეთიკის პრინციპებს.

### მუხლი 2. ეთიკის პრინციპები კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებით

ა. ICOMOS წევრები უწევენ ადვოკატირებას და პროპაგანდირებას კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციასა და მომავალი თაობებისთვის მის გადაცემას ICOMOS მიზნებიდან გამომდინარე.

ბ. ICOMOS წევრები ადვოკატირებას უწევენ და ხელს უწყობენ კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემას. ისინი მცდელობას არ აკლებენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა მისი გამოყენების ან მასში ჩარევის დროს.

გ. ICOMOS წევრები აღიარებენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ როლს მემკვიდრეობისა, როგორც ადგილობრივი და გლობალური მდგრადი განვითარების მამოძრავებლისა.

დ. ICOMOS წევრები აღიარებენ და პატივს სცემენ კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა მატერიალურ და არა-მატერიალურ ღირებულებებს, რომელიც ამდიდრებს კაცობრიობის კულტურას და შეიძლება განსხვავებული მნიშვნელობისა იყოს სხვადასხვა ჯგუფისა და თემისთვის.

ე. როდესაც კულტურული მემკვიდრეობა პირდაპირი საფრთხის ან რისკის ქვეშაა, ICOMOS წევრები აღმოუჩენენ მას ყოველნაირ შესაძლებელ, პრაქტიკულად განხორციელებად და სათანადო დახმარებას, იმ პირობით, რომ ეს უზიფათოა მათი და სხვათა ჯანმრთელობისთვის.

მუხლი 3. ეთიკის პრინციპები საზოგადოებასა და თემთან მიმართებით

ა. ICOMOS წევრები აღიარებენ, რომ მათ აქვთ საზოგადო მორალური ვალდებულება კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციისა და აწმყო და მომავალი თაობებისთვის მისი გადაცემისა, ასევე, სპეციფიური ვალდებულებები საკუთარი ქმედებებისთვის.

ბ. ICOMOS წევრები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოების ინტერესის გათვალისწინება კულტურულ მემკვიდრეობასთან მიმართებით მიღებულ გადაწყვეტილებებში.

გ. ICOMOS წევრები აღიარებენ კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციაში თემის ჩართულობის ფასეულობას. ისინი აწარმოებენ ღია და თანამშრომლობით დიალოგს მათთან. ისინი ხელს უწყობენ ნდობის ჩამოყალიბებას და უზრუნველყოფენ ღია წვდომას საკომუნიკაციო არხებთან.

დ. ICOMOS წევრები აღიარებენ კულტურულ ფასეულობათა თანა-არსებობას, იმ პირობით, რომ ეს არ არღვევს ადამიანის უფლებებს და თავისუფლებებს, რაც გაცხადებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებში.

ე. ICOMOS წევრები ხელს უწყობენ საზოგადოების გათვითცნობიერებას, მათ მონაწილეობას და ხელმძღვანელობას კულტურული მემკვიდრეობის იდენტიფიცირების, ხელმისაწვდომობის, გამოყენების, მართვისა და ხელშეწყობის საკითხებში როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ დონეზე.

ფ. მემკვიდრეობაზე ურთიერთსაწინააღმდეგო ღირებულებების არსებობის შემთხვევაში, ICOMOS - ის წევრები ხელს უწყობენ და წვლილი შეაქვთ კონფლიქტის გადაწყვეტის პროცესებში.

მუხლი 4. ეთიკის პრინციპები პრაქტიკასთან მიმართებით

ა. ICOMOS წევრები იძლევიან საუკეთესო პროფესიულ რჩევებსა და მომსახურებას კულტურული მემკვიდრეობის დარგში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

ბ. ICOMOS წევრები უნდა ეცნობოდნენ ICOMOS გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ დოქტრინალურ დოკუმენტებს. ისინი უნდა იცნობდნენ UNEშჩო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ საერთაშორისო კონვენციებს, რეკომენდაციებსა და სამოქმედო სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც მათ საქმიანობას ეხება.

გ. ICOMOS წევრები მუშაობენ პროფესიონალურად, გამჭვირვალე და კოლაბორაციული გზით და მოხარული არიან ჩაერთონ საჯარო დებატებში.

1. ICOMOS წევრების მეთოდები ობიექტური, ზედმიწევნითი და მეცნიერულია.

2. ICOMOS წევრები აღრმავებენ და ხვეწენ საკუთარ ცოდნას კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციაზე.

3. ICOMOS წევრები აღიარებენ, რომ კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაცია მოითხოვს ინტერდისციპლინარულ მიდგომას და მხარს უჭერენ თანამშრომლობას პროფესიონალთა მრავალდისციპლინარულ ჯგუფებთან, გადაწყვეტილების მიმღებებთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

4. ICOMOS წევრები პატივს სცემენ კულტურულ და ლინგვისტურ მრავალფეროვნებას.

5. ICOMOS წევრები უზრუნველყოფენ იმას, რომ მათი მუშაობის მასშტაბი და კონტექსტი, ნებისმიერი დაბრკოლების ჩათვლით, შესაბამისად იყოს განმარტებული.

6. ICOMOS წევრები უზრუნველყოფენ, რომ მომზადდება სრული, ხანგრძლივი მოხმარებისა და ხელმისაწვდომი ანგარიშები იმ საკონსერვაციო ქმედებებისა, რომელზეც ისინი არიან პასუხისმგებელნი. ისინი უზრუნველყოფენ ამ დოკუმენტაციის განთავსებას მუდმივ არქივში შეძლებისდაგვარად სწრაფად და მის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისთვის, თუკი ეს შესაბამისი იქნება კულტურულ და საკონსერვაციო მიზნებთან.

დ. ICOMOS წევრები, რომლებიც აწარმოებენ სამუშაოებს კულტურულ მემკვიდრეობაზე, არ იშურებენ უნარ-ჩვევებს, გულმოდგინებასა და კომპეტენციას, რათა უზრუნველყონ, რომ

გადაწყვეტილებები კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის თაობაზე იყოს კარგად დასაფუძვლებული და განცხადებული.

1. ICOMOS წევრები უზრუნველყოფენ, რომ მათი გადაწყვეტილებები კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის თაობაზე ეფუძნებოდეს საკმარის ცოდნასა და კვლევას, ასევე კარგი პრაქტიკის მიმდინარე სტანდარტებს.

2. ICOMOS წევრები ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა უზრუნველყონ ყველა შესაძლო ნაყოფიერი ვარიანტების გამოკვლევა და შერჩეული ვარიანტების ადექვატური დასაბუთება.

3. ICOMOS წევრები მცდელობას არ აკლებენ, რათა უზრუნველყონ, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები კულტურული მემკვიდრეობის კონსერვაციის პროექტების თაობაზე არ იყოს მიღებული ერთპიროვნულად პროექტის ავტორის მიერ, არამედ კოლექტიური და ინტერდისციპლინარული გააზრების შედეგს წარმოადგენდეს.

ე. ICOMOS, მისი წევრები და კომიტეტები ცდილობენ, რომ მათ საქმიანობას ქონდეს მდგრადი შედეგები

მუხლი 5. ეთიკური ქცევა

ა. ICOMOS წევრები აწარმოებენ თავის საქმიანობას ღიად, სამართლიანად, დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად და ანგარიშგებლიანად.

1. ICOMOS წევრებმა თავი უნდა აარიდონ, ან სათანადოდ გამოააშკარავონ ნებისმიერი რეალური ან სავარაუდო ინტერესთა კონფლიქტი, რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას მათი მუშაობის დამოუკიდებლობას, მიუკერძოებულობასა და ობიექტურობას. ICOMOS წევრებმა და კომიტეტებმა არ უნდა მიიღონ ან შესთავაზონ საჩუქრები, ფულადი შესაწირავი ან სხვა მაცდუნებელი რამ, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ან სავარაუდოა, რომ გავლენას მოახდენს მათ დამოუკიდებლობაზე.

2. ICOMOS წევრებმა თავი უნდა აარიდონ საკუთარ საქმეში მსაჯულად ყოფნას: როდესაც ისინი ჩართულნი არიან სამუშაოში რომელიმე კონკრეტულ ობიექტზე და, ამასთანავე, მონაწილეობენ ადგილობრივი ან ეროვნული ხელისუფლების მრჩეველთა ან გადაწყვეტილების მიმღებთა ორგანოებში, მათ არ უნდა მიიღონ მონაწილეობა ამ ობიექტთან დაკავშირებული აღნიშნული ორგანოების მიერ მიღებულ რაიმე გადაწყვეტილებაში.

3. ICOMOS წევრებმა პატივი უნდა სცენ კონფიდენციალობას ნებისმიერი მონაცემებისა, დოკუმენტების, მოსაზრებებისა და დისკუსიების ჩათვლით, რომელიც მათთვის ხელმისაწვდომი გახდა მათი საქმიანობისას.

ბ. ICOMOS წევრები პატივს სცემენ და აღიარებენ სხვათა ინტელექტუალურ შრომას. მათ უნდა მოახდინონ ციტირება, მიუთითონ და გამოაქვეყნონ, ზუსტად და კეთილსინდისიერად, სხვათა ინტელექტუალური, მატერიალური და პრაქტიკული ღვაწლი.

გ. ICOMOS წევრებმა უნდა დააზუსტონ, მათ მიერ გამოთქმული პროფესიული თვალსაზრისი და მოსაზრებები, მათი პირადი აზრია, თუ იმ ინსტიტუციისა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ.

დ. ICOMOS წევრები ეწინააღმდეგებიან ფაქტების დამახინჯებასა და მცდარ ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობისა და საკონსერვაციო ქმედებათა შესახებ; ისინი ეწინააღმდეგებიან მონაცემთა და აღმოჩენათა დამალვასა და მათით მანიპულირებას.

მუხლი 6. ეთიკის პრინციპები ICOMOS-სა და მის წევრებთან მიმართებით

ა. ICOMOS წევრები არიან კოლეგიალური, ლოიალური და ყურადღებიანი სხვა წევრების მიმართ.

ბ. ICOMOS წევრები ხელს უწყობენ ცოდნის გაზიარებას, ICOMOS-ის ფარგლებში ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების გზით, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე.

გ. ICOMOS წევრები ასწავლიან ახალგაზრდა კოლეგებს და უზიარებენ მათ ცოდნასა და გამოცდილებას თაობათაშორისი სოლიდარობის სულისკვეთებით.

დ. ICOMOS წევრებმა არ უნდა გამოიყენონ საკუთარი მდგომარეობა ICOMOS-ში ან კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მოიპოვეს ICOMOS-თვის მუშაობისას, პირადი გამორჩენისთვის.

ე. ICOMOS წევრები, რომლებიც აწარმოებენ სამუშაოებს ICOMOS თხოვნით, უნდა ემორჩილებოდნენ ნებისმიერ სპეციფიკურ პრინციპებს, რომელიც შემუშავებულია ICOMOS გამგეობის მიერ მსგავსი აქტივობებისთვის. განსაკუთრებით, ICOMOS წევრები, რომლებიც მონაწილეობენ სამუშაოებში მსოფლიო კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის დაცვის კონვენციასთან (1972) დაკავშირებით, უნდა ემორჩილებოდნენ “ICOMOS მსოფლიო მემკვიდრეობის მანდატის შესრულების/განხორციელების პოლიტიკას” და მის დამატებებს.

ფ. ICOMOS წევრები მოქმედებენ პასუხისმგებლობით ორგანიზაციის მიმართ, აძლიერებენ და იცავენ მის რეპუტაციასა და სიცოცხლისუნარიანობას.

1. ICOMOS წევრები პატივს უნდა სცემდნენ ICOMOS წესდებას, ეროვნული კომიტეტების წესდებებს და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების კანონქვემდებარე აქტებს.

2. ICOMOS - ის წევრებმა თავისი საჯარო განცხადებებითა და ქმედებებით არ უნდა მიაყენონ ორგანიზაციის ან მისი კომიტეტების რეპუტაციას ზიანი.
3. ICOMOS წევრებმა რისკის ქვეშ არ უნდა დააყენონ ICOMOS-ისა და მისი კომიტეტების ფინანსური მდგომარეობა.
4. ICOMOS წევრებს უნდა ახსოვდეთ, რომ ICOMOS სახელი და ლოგო ICOMOS-ს ეკუთვნის.
5. ICOMOS წევრები არ უნდა მოქმედებდნენ ან საუბრობდნენ ICOMOS-ის ან რომელიმე მისი კომიტეტის სახელით, შესაბამისი ორგანოს უფლებამოსილების გარეშე და მსგავს შემთხვევებში მკაცრად უნდა მისდიონ ინსტიტუციის პოზიციას.
6. ICOMOS შიგნით თანამდებობის დაკავების კანდიდატებს შეუძლიათ აწარმოონ კამპანია ICOMOS ყველა წევრისთვის ხელმისაწვდომი საშუალებების გამოყენებით; მათ არ უნდა მოახდინონ სამთავრობო, საზოგადოებრივი ან კერძო ორგანიზაციების მობილიზება მათი სახელით კამპანიის წარმართვისათვის.

#### მუხლი 7. განხორციელება და შესწორებები

- ა. ICOMOS ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტები გაავრცელებენ ეთიკის პრინციპებს და უზრუნველყოფენ მათ განხორციელებას.
- ბ. ეთიკის პრინციპებთან შეუსაბამო ქმედება შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც გადაცდომა. გადაცდომის ნამდვილობის დადასტურება განხორციელდება შესაბამის წევრთან განხილვის შედეგად, რაც შესაძლებელია გახდეს სანქციების დაკისრების საფუძველი, ICOMOS-ის წესდების მე-7 მუხლის შესაბამისად.
- გ. ICOMOS ეროვნულმა და საერთაშორისო კომიტეტებმა შეიძლება შეიმუშავონ ეთიკის დამატებითი პრინციპები, თუკი ისინი არ ეწინააღმდეგება ICOMOS წესდებას, წინამდებარე ეთიკის პრინციპებს და ნებისმიერ სხვა შესაბამის ICOMOS დოქტრინალურ დოკუმენტს.
- დ. ეთიკის პრინციპები გადაისინჯები ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც, ICOMOS გამგეობის მიერ, რომელიც წარუდგენს ანგარიშს გენერალურ ასამბლეას ICOMOS წესდების მუხლი 10-ის შესაბამისად. ნებისმიერი შესწორებები ეთიკის პრინციპებისა მიღებულ იქნება ICOMOS გენერალურ ასამბლეაზე, გამგეობის თხოვნით.